ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4780119

ნომერი: AR1719526

თარიღი : 19.11.2019

გაცემის თარიღი : 05.12.2019

გაცნობის თარიღი : 06.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დუტუ მეგრელი , N 2 , ღვინის აღმართი N8;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ჩლაიძე პ/ნ 01026017136
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. N 11 ბ. 64

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის № 4753645 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 19 ნოემბერს №AR1719526 განცხადებით მომართა გიორგი ჩლაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 15

ნოემბრის №4753645 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის №4753645 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), დუტუ მეგრელის ქ. №2; ღვინის აღმართი №8-ში (მეგლი), სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 19 ნოემბრიდან 2020 წლის 06 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 19 ნოემბრიდან 2020 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით'' ნაცვლად დაფიქსირდა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 19 ნოემბრიდან 2020 წლის 06 იანვრის ჩათვლით''.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2019 წლის 19 ნოემბერს №AR1719526 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 12 თვეზე და შესაბამისად, სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის № 4753645 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2019 წლის 19 ნოემბრიდან 2020 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის № 4753645 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ლევან ჩლაიძის 2019 წლის 19 ნოემბრის №AR1719526 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის №4753645 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,, 3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 19 ნოემბრიდან 2020 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.''
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის №4753645 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის № 4753645 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.